SOCAR ENERGY GEORGIA

ბიზნეს ეთიკისა და ქცევის კოდექსი

SOCAR-ის ღირებულებები

კომპანიის ღირებულებები ჩვენი საქმიანობის ქვაკუთხედია. ისინი აერთიანებს გუნდს უკეთესი მომავლის შესაქმნელად და განსაზღვრავს ჩვენს კორპორაციულ კულტურას. ეს ღირებულებები არის მთავარი გზამკვლევი კომპანიის ფუნქციონირების ყველა ეტაპზე. წინამდებარე კოდექსში მოცემული ძირითადი პრინციპები და წესები გამომდინარეობს და ეყრდნობა ამ ღირებულებებს:

უსაფრთხოება
უსაფრთხოება ჩვენი მთავარი პრიორიტეტია და ვალდებულნი ვართ, დავიცვათ ჩვენი თანამშრომლები, საზოგადოება, გარემო და მომავალი თაობები.
ერთი გუნდი
დასახული ამოცანების მისაღწევად, ჩვენ ვმოქმედებთ როგორც ერთიანი გუნდი და მტკიცედ გვწამს, რომ თანამშრომლობა, როგორც კომპანიის შიგნით, ისე გარე პარტნიორებთან, გადამწყვეტია დასახული მიზნების მისაღწევად.
უწყვეტი განვითარება
ჩვენ მუდმივად ვისწრაფვით ცოდნის გაღრმავებისკენ, საუკეთესო გამოცდილების გაზიარებისა და დანერგვისკენ, დასახული მიზნების და საუკეთესო შედეგების მისაღწევად.
ანგარიშვალდებულება
ჩვენ ვაცნობიერებთ ჩვენი საქმიანობის მასშტაბებსა და გავლენას, ვიღებთ სრულ პასუხისმგებლობას თითოეულ ნაბიჯზე, რომელსაც კორპორაციული მისიის, ხედვისა და სტრატეგიის განხორციელების გზაზე ვდგამთ.
ზრუნვა
ჩვენთვის მნიშვნელოვანია გარემოზე ზრუნვა და პრიორიტეტულია ჩვენი თანამშრომლებისა და იმ საზოგადოების კეთილდღეობა, რომელსაც ვემსახურებით.

ტერმინთა განმარტება:

„ბიზნეს პარტნიორები“ ერთობლივი საწარმოს პარტნიორები და ნებისმიერი სხვა მესამე მხარე, რომლებსაც აქვთ ან ჰქონდათ ბიზნეს ურთიერთობა შპს „სოკარ ენერჯი ჯორჯიასთან“ (მომსახურების მომწოდებელი მესამე პირების გარდა).

„ახლო ურთიერთობას“ თანამშრომელთან დაკავშირებული ნებისმიერი ტიპის ურთიერთობა, რომელიც გავლენას ახდენს ან შესაძლოა გავლენა მოახდინოს, მის მიერ სამუშაო პროცესში ობიექტური გადაწყვეტილების მიღებაზე (მაგალითად: რომანტიკული ურთიერთობა, ახლო მეგობრობა).

„ხელშეკრულებით დასაქმებული თანამშრომელი“ კონტრაქტორის მიერ დაქირავებული ფიზიკური პირი, რომელიც ოპერირებს კომპანიის ობიექტებზე და ექვემდებარება კომპანიის შიდა რეგულაციებს.

„კონტროლი“ წილობრივი მონაწილეობის, სახელშეკრულებო ან სხვა სამართლებრივი მექანიზმების საფუძველზე სუბიექტის სტრატეგიული მართვა და საოპერაციო საქმიანობის ძირითადი მიმართულებების განსაზღვრა.

„(ბიზნეს) ერთეული“ ნებისმიერი კომპანია, კორპორაცია, კოოპერატივი, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, ამხანაგობა, კომანდიტური საზოგადოება, ერთობლივი საწარმო (იურიდიული პირის სტატუსით ან მის გარეშე), საწარმო, ასოციაცია, ტრასტი, შვილობილი კომპანია, ჰოლდინგური კომპანია, მომსახურების გამწევი კომპანია ან სხვა იურიდიული პირი თუ ორგანიზაცია, რომელიც დაფუძნებულია ნებისმიერი სახელმწიფოსა თუ იურისდიქციის კანონმდებლობის შესაბამისად, ან შექმნილია ორ ან მეტ მხარეს შორის დადებული წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

„ერთობლივი საწარმო“ კომპანიასა და ორ ან მეტ დამოუკიდებელ სუბიექტს შორის ჩამოყალიბებული სამეწარმეო ურთიერთობა, რომელიც ითვალისწინებს მხარეთა მიერ მატერიალური და არამატერიალური აქტივების ინვესტირებასა და აღნიშნული ურთიერთობის ერთობლივ მართვას.

„მენეჯერი“ პირი, რომელიც პირდაპირ ან ირიბად ზედამხედველობს შპს “სოკარ ენერჯი ჯორჯიას“ თანამშრომლების საქმიანობას.

„საჯარო თანამდებობის პირი“:

(i) აღმასრულებელი, საკანონმდებლო ან სასამართლო ხელისუფლების ნებისმიერი თანამდებობის პირი (არჩეული ან დანიშნული);
(ii) აღმასრულებელი, საკანონმდებლო ან სასამართლო ხელისუფლების ნებისმიერი თანამშრომელი;
(iii) ნებისმიერი სამთავრობო ორგანოს (ეროვნულ, რეგიონალურ, მუნიციპალურ ან ადგილობრივ დონეზე) თანამშრომელი ან წარმომადგენელი;
(iv) ნებისმიერი სახელმწიფო უწყების ან ორგანოს (მათ შორის სამხედრო, პოლიციისა და საბაჟო სამსახურების) ნებისმიერი თანამდებობის პირი ან თანამშრომელი;
(v) სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ან კონტროლირებადი ნებისმიერი საწარმოს დირექტორი, ხელმძღვანელი პირი ან თანამშრომელი;
(vi) საერთაშორისო საჯარო ორგანიზაციის (მაგ. მსოფლიო ბანკი, გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, საერთაშორისო სავალუტო ფონდი) ნებისმიერი თანამდებობის პირი ან თანამშრომელი;
(vii) პოლიტიკური პარტიის ნებისმიერი თანამდებობის პირი ან კანდიდატი;
(viii) სამეფო ან მსგავსი მმართველი ოჯახის ნებისმიერი წევრი, ტომის ბელადი ან მსგავსი პოზიციის/სტატუსის მქონე სხვა პირი.

„ნებისმიერი ფასეულობა“ მათ შორს მოიცავს:

(i) ფულადი სახსრები ან ფულადი სახსრების ექვივალენტი, სესხები, საჩუქრები ან პრიზები;
(ii) დასაქმების შეთავაზებები ან სამომავლო დასაქმების პირობა (თანამშრომლისთვის ან მისი ნებისმიერი ნათესავისთვის), მათ შორის დროებითი დასაქმება, მიუხედავად იმისა, გაიცემა თუ არა ანაზღაურება (მაგ. არაანაზღაურებადი სტაჟირება);
(iii) შეღავათიანი პირობები და ფასდაკლებები პროდუქტსა თუ მომსახურებაზე;
(iv) გასართობი/მასპინძლობის ხარჯები (მათ შორის მგზავრობის, სასტუმროს ან რესტორნის ანგარიშების დაფარვა, საცხოვრებელი ხარჯები, ან მოგზაურობისა თუ კურორტზე ყოფნის ხარჯები);
(v) სატრანსპორტო საშუალებებით ან აგარაკებით სარგებლობა;
(vi) ღონისძიებების ფასდაკლებული ან უფასო ბილეთები;
(vii) მომსახურება, პირადი პრივილეგიები ან საცხოვრებელი ფართის რემონტი და კეთილმოწყობა;
(viii) პოლიტიკური შემოწირულობები;
(ix) ფასიანი ქაღალდები ან აქციები, მათ შორის აქციების შეძენის შესაძლებლობა;
(x) ფასეულობების გადაცემა კომერციული ხელშეკრულებების მეშვეობით, როგორიცაა კონცესიის, პროდუქციის წილობრივი გაყოფის ან გაზის ნასყიდობის ხელშეკრულებები, ასევე სხვა კონტრაქტები ან წერილობითი ვალდებულებები ფასდათმობების შესახებ;
(xi) სოციალური ინვესტიციები, საქველმოქმედო შენატანები და სპონსორობა.

„ნათესავი“ გულისხმობს თანამშრომლის დის ან ძმის შვილს (როგორც ბიოლოგიურს, ისე ნაშვილებს, მათ შორის ქორწინების გარეშე შობილს) და ამ შვილის მეუღლეს; მეუღლის და-ძმას, მათ შვილს (როგორც ბიოლოგიურს, ისე ნაშვილებს, მათ შორის ქორწინების გარეშე შობილს), ამ შვილის მეუღლეს და აღნიშნული მეუღლის და-ძმის მეუღლეებს; მეუღლის მშობლებს და მათ მშობლებს; მშობლის და-ძმას, მათ მეუღლეს და შვილს (როგორც ბიოლოგიურს, ისე ნაშვილებს, მათ შორის ქორწინების გარეშე შობილს) და მშობლის და-ძმის შვილის მეუღლეს.

“სოკარი“/SOCAR აკრონიმი, აზერბაიჯანის რესპუბლიკის სახელმწიფო ნავთობ კომპანია.

„კომპანიის თანამშრომლები“ ნიშნავს შპს “სოკარ ენერჯი ჯორჯიას“ მიერ შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ ყველა პირს, მათ შორის შპს “სოკარ ენერჯი ჯორჯიას“ ნებისმიერ დანიშნულ დირექტორს.

შპს “სოკარ ენერჯი ჯორჯიას“ ეთიკისა და შესაბამისობის ცხელი ხაზი“ შპს „სოკარ ენერჯი ჯორჯიას“ ელექტრონული ფოსტის მისამართი Compliance@socar.ge და ტელეფონის ნომერი: (+995) 577 00 54 54.

„მესამე მხარის მომსახურების მიმწოდებლები“ ნიშნავს ნებისმიერ პირს და/ან ორგანიზაციას, რომელთანაც შპს “სოკარ ენერჯი ჯორჯია“ ახორციელებს ან გეგმავს საქმიანი ურთიერთობას, როგორც რეგულარულად, ასევე ერთჯერადად. მესამე მხარეს, შესაძლოა წარმოადგენდნენ: კონსულტანტები, წარმომადგენლები, მრჩევლები, კონტრაქტორები, მომსახურების გამწევი

ქვეკონტრაქტორები ან მსგავსი შუამავლები, ბიზნესის განვითარების აგენტები/კონსულტანტები, გადაზიდვის აგენტები და ექსპედიტორები, საბაჟო აგენტები, გაყიდვების აგენტები, კოორდინატორები და ადმინისტრაციული პროცედურების მართვის აგენტები, უძრავი ქონების აგენტები/ბროკერები, იურისტები, ბუღალტრები, საგადასახადო და პოლიტიკური მრჩევლები.

გაითვალისწინეთ

წინამდებარე კოდექსი არ ცვლის თქვენი შრომითი ხელშეკრულების პირობებს და წარმოადგენს შპს „სოკარ ენერჯი ჯორჯიასა“ და თქვენს შორის გაფორმებული შრომითი ხელშეკრულების და შრომის შინაგანაწესის განუყოფელ ნაწილს. წინამდებარე კოდექსის შეუსრულებლობამ შეიძლება გამოიწვიოს დისციპლინური სახდელი, მათ შორის დასაქმების შეწყვეტა, ხოლო მესამე მხარის შემთხვევაში, სახელშეკრულებო ურთიერთობის შეწყვეტა.

1. კოდექსის გამოყენება და მის მოთხოვნებთან შესაბამისობა

კოდექსი:

- ეყრდნობა კომპანიის ფუნდამენტურ პრინციპებს: ღირებულებებს, უსაფრთხოების კულტურას, თანამშრომლებს, საკუთრებასა და სხვა აქტივებს, ოპერირების წესსა და აზრის თავისუფლად გამოხატვის კულტურას;
- წარმოადგენს პრინციპების კრებულს;
- განსაზღვრავს შესაბამის სტანდარტებს, მათ შორის საერთაშორისო სტანდარტებს;
- განსაზღვრავს კომპანიის მოლოდინებს თანამშრომლების მიმართ;
- განსაზღვრავს კომპანიის მოლოდინებს მომსახურების მიმწოდებლების (მათი თანამშრომლების ჩათვლით) და ნებისმიერი სხვა პირის მიმართ, რომლებიც მუშაობენ კომპანიის სახელით, ასევე ბიზნეს პარტნიორების, მთავრობისა და საზოგადოების მიმართ.

კოდექსში მითითებული ყველა პოლიტიკა (მათი პერიოდული განახლებული ვერსიები) და სხვა შიდა ნორმატიული დოკუმენტი კოდექსის განუყოფელი ნაწილია.

თუ კოდექსის რომელიმე მოთხოვნასთან დაკავშირებით გაგიჩნდათ შეკითხვა, გთხოვთ, მიმართოთ თქვენს მენეჯერს და/ან შესაბამისობის განყოფილებას.

ვისთვის არის განკუთვნილი კოდექსი?

კოდექსი ვრცელდება:

(i) შპს „სოკარ ენერჯი ჯორჯიას“ ყველა თანამშრომელზე, მათ შორის სამეთვალყურეო საბჭოსა და დირექტორთა საბჭოს წევრებზე;
(ii) კონტრაქტით დასაქმებულ ყველა თანამშრომელზე;

(iii) შპს „სოკარ ენერჯი ჯორჯიაში“ მივლინებულ ყველა მესამე მხარის თანამშრომელზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

მომსახურების ყველა მიმწოდებელმა (მათი თანამშრომლების ჩათვლით) და ნებისმიერმა პირმა, რომელიც მუშაობს შპს “სოკარ ენერჯი ჯორჯიასა“ და მისი ბიზნეს პარტნიორების სახელით, უნდა იხელმძღვანელონ წინამდებარე კოდექსით და იმოქმედონ კოდექსის შესაბამისად.

იმ შემთხვევაში, თუ შპს “სოკარ ენერჯი ჯორჯიას“ აქვს მონაწილეობითი წილი ერთობლივ საწარმოში, რომელსაც შპს “სოკარ ენერჯი ჯორჯია“ არ აკონტროლებს, კომპანია, გონივრულ ფარგლებში, კეთილსინდისიერად ეცდება ამ კოდექსის პრინციპების გავრცელებას აღნიშნულ საწარმოში. კომპანია არ მიიღებს მონაწილეობას ახალ ერთობლივ საწარმოში, თუ მეორე მხარე არ დათანხმდება იხელმძღვანელოს წინამდებარე კოდექსით ან მსგავსი პოლიტიკებით.

კოდექსის მოთხოვნების დაცვა სავალდებულოა ხელშეკრულებით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელების ნებისმიერ ეტაპზე, როგორც ძირითად სამუშაო ადგილზე, ისე მის ფარგლებს გარეთ, მათ შორის დისტანციურად ან ონლაინ რეჟიმში მუშაობისას.

ანგარიშვალდებულება

კომპანიაში დაკავებული პოზიციის მიუხედავად, ყველა თანამშრომელმა განუხრელად უნდა დაიცვას და ხელი შეუწყოს წინამდებარე კოდექსის მოთხოვნების შესრულებას. ქვემოთ მოცემულია დამატებითი ვალდებულებები.

შპს “სოკარ ენერჯი ჯორჯიას“ თანამშრომელი ვალდებულია:	**შპს “სოკარ ენერჯი ჯორჯიას“ მენეჯერი ვალდებულია:**
წაიკითხოს, გაიაზროს და დაიცვას კოდექსი	იყოს ეთიკის კულტურისადმი ერთგულებისა და კომპანიის სტანდარტების დაცვის მისაბაძი მაგალითი.
გაიაზროს სამუშაოსთან დაკავშირებული რისკები და მათი მართვის მექანიზმი.	შექმნას სამუშაო გარემო, სადაც კოლეგებს თავისუფლად და კომფორტულად შეეძლებათ კითხვების დასმა და საჩივრის ან პრობლემური საკითხების გაჟღერება
დარწმუნდეს, რომ ნებისმიერი მესამე მხარე, მათ შორის იმ სერვისის მიმწოდებლები, რომლებთანაც თანამშრომლობს, ინფორმირებულნი არიან, წინამდებარე კოდექსის შესახებ და მოქმედებენ მისი დებულებების გათვალისწინებით.	პერსონალის შერჩევა, განვითარება და დაწინაურება უნდა მოხდეს მიღწევების, კვალიფიკაციის და გამოვლენილი უნარების საფუძველზე.
ითანამშრომლოს და გამოავლინოს კეთილსინდისიერება მოკვლევის ან აუდიტის	დარწმუნდეს, რომ ყველა თანამშრომელს თანაბრად შეუძლია აზრის გამოხატვა.

დროს.	
გაიაროს ეთიკისა და შესაბამისობის ტრენინგი, მათ შორის დისკრიმინაციისა და შევიწროების პრევენციის შესახებ.	მხარი დაუჭიროს თავის გუნდს და დაეხმაროს მათ გააცნობიერონ, თუ რას ელიან მათგან.
მოითხოვოს განმარტება და გამოხატოს აზრი, დასვას კითხვები და გააჟღეროს პრობლემური საკითხები, თუ შეამჩნევს მოქმედი კანონების, რეგულაციების ან კოდექსის შესაძლო დარღვევებს.	დაუყოვნებლივ დააფიქსიროს ნებისმიერი საჩივარი და მხარი დაუჭიროს მათ, ვინც კეთილსინდისიერად დააფიქსირებს ნებისმიერ საჩივარს.

შპს „სოკარ ენერჯი ჯორჯია“ მხარს უჭერს წინამდებარე კოდექსის დებულებების გავრცელებას დაქირავებულ პერსონალსა და კომპანიაში მივლინებულ მესამე მხარის ყველა თანამშრომელზე. აღნიშნული აისახება სახელშეკრულებო პირობებში კომპანიასა და იმ მესამე მხარეს შორის, რომლიც უზრუნველყოფს დაქირავებული პერსონალის გაგზავნას შპს „სოკარ ენერჯი ჯორჯიაში“, ან უშუალოდ კომპანიასა და აღნიშნულ პერსონალს შორის. აღნიშნულის გათვალისწინებით, წინამდებარე კოდექსის ყველა დებულება, რომელიც ეხება „თანამშრომლებს“ ავტომატურად ვრცელდება დაქირავებულ პერსონალსა და შპს „სოკარ ენერჯი ჯორჯიაში“ მივლინებულ მესამე მხარის ყველა თანამშრომელზე.

ყველაზე მკაცრი სტანდარტები

საქართველოს მოქმედ კანონმდებლობასა და წინამდებარე კოდექსს შორის შეუსაბამობის შემთხვევაში, გამოიყენება მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი ყველაზე მკაცრი სტანდარტი.

თუ წინამდებარე ეთიკის კოდექსი ითვალისწინებს რეგულაციას, რომელიც კანონით პირდაპირ არ არის მოწესრიგებული, თუმცა არ ეწინააღმდეგება მას, დასაქმებულმა უნდა იხელმძღვანელოს წინამდებარე ეთიკის კოდექსით.

ითხოვეთ რჩევა და გამოთქვით თქვენი აზრი

მიუხედავად იმისა, რომ წინამდებარე კოდექსი ბიზნესის ჯეროვნად და კეთილსინდისიერად წარმართვის სახელმძღვანელო პრინციპების ფართო სპექტრს მოიცავს, იგი ვერ გაითვალისწინებს ყველა შესაძლო სიტუაციას.

შესაბამისად, თუ ეჭვი გაგიჩნდათ კოდექსის, შიდა პოლიტიკის ან მოქმედი კანონმდებლობის შესაძლო დარღვევაზე, ან სხვა ნებისმიერ არაეთიკურ ქმედებაზე, დაუყოვნებლივ უნდა განაცხადოთ ამის შესახებ. ეს მოიცავს მექრთამეობისა და კორუფციის ნებისმიერ ფაქტს, დისკრიმინაციასა და შევიწროებას, რომლის შესახებაც შეიძლება შეიტყოთ ან რომლის მსხვერპლიც თავად გახდეთ. ვინაიდან მსგავსი საკითხის დაფიქსირება არ არის მარტივი, კომპანიაში ფუნქციონირებს რამდენიმე არხი შესაბამისი რეაგირებისთვის.

ნებისმიერი საჩივარი/გამჟღავნებული პრობლემური საკითხი ხელს უწყობს უფრო ძლიერი კომპანიის ჩამოყალიბებას. კომპანია ნულოვან ტოლერანტობას იჩენს რეტალიაციის (სამაგიეროს გადახდის) მიმართ. კომპანიას უნდა ეცნობოს ნებისმიერი არასწორი ქმედების შესახებ შეტყობინებების მოკვლევისა და სათანადო გადაწყვეტილებების მიღების მიზნით.

რეკომენდაციის მისაღებად ან კოდექსის, პოლიტიკების ან მოქმედი კანონმდებლობის დარღვევის ფაქტის დასაფიქსირებლად შეგიძლიათ, აირჩიოთ თქვენთვის მისაღები გზა:

- დაუყოვნებლივ აცნობეთ თქვენს უშუალო ხელმძღვანელს. თუ დისკომფორტს გიქმნით თქვენს უშუალო ხელმძღვანელთან საუბარი, დაუკავშირდით მის უშუალო ხელმძღვანელს.
- შეგიძლიათ დააფიქსიროთ ინციდენტი:
  - შპს „სოკარ ენერჯი ჯორჯიას“ ეთიკისა და შესაბამისობის დახმარების ცხელ ხაზზე ელექტრონული ფოსტის მეშვეობით შემდეგ მისამართზე: Compliance@socar.ge ან
  - დარეკოთ შემდეგ ტელეფონის ნომერზე: (+995) 577 00 54 54.
- თქვენ შეგიძლიათ, გამოიყენოთ იგივე საკომუნიკაციო არხები კოდექსთან დაკავშირებული ნებისმიერი კითხვის დასასმელად.
- თუ ანონიმურად გსურთ შეტყობინების გაგზავნა, გთხოვთ, მოგვაწოდოთ მაქსიმალურად დეტალური ინფორმაცია და პერიოდულად შეამოწმოთ ელ.ფოსტა, რადგან, შესაძლოა, კომპანია დაგიკავშირდეთ დამატებითი ინფორმაციის მოწოდების თხოვნით.

შპს “სოკარ ენერჯი ჯორჯიას“ ეთიკისა და შესაბამისობის ცხელი ხაზი

კომპანიის ეთიკისა და შესაბამისობის ცხელი ხაზი (ელ. ფოსტა: Compliance@socar.ge და ტელეფონი: (+995) 577 00 54 54) დაკომპლექტებულია კომპანიის პროფესიონალთა გუნდით. თქვენ შეგიძლიათ საჩივარი/პრობლემა ანონიმურად დააფიქსიროთ.

ნულოვანი ტოლერანტობა რეტალიაციის (სამაგიეროს გადახდის) მიმართ

აკრძალულია რეტალიაცია (სამაგიეროს გადახდა) ნებისმიერი ფორმით, რომელიც მიმართულია ნებისმიერი პირის (მათ შორის კომპანიის თანამშრომლების ნათესავებისა და ახლობლების) მიმართ, რომელიც აჟღერებს პრობლემას წინამდებარე კოდექსის, მოქმედი კანონმდებლობის, ჩვენი პოლიტიკისა და სხვა შიდა ნორმატიული დოკუმენტების შესაძლო დარღვევის შესახებ. ჩვენი თანამშრომლების მიმართ ნებისმიერი მუქარა ან რეტალიაციის (სამაგიეროს გადახდის) აქტი ჩაითვლება კოდექსის უხეშ დარღვევად. თუ თქვენ ან თქვენი ნაცნობი შურისძიების მსხვერპლია, შეატყობინეთ კომპანიას ნებისმიერი საკომუნიკაციო არხის გამოყენებით.

ქვემოთ მოცემულია თანამშრომლების მიმართ აკრძალული რეტალიაციის (სამაგიეროს გადახდის) რამდენიმე მაგალითი:

- კომპანიის თანამშრომლის ხელფასზე ან სხვა მატერიალურ ანაზღაურებაზე უარყოფითი გავლენის მოხდენის მიზნით ჩარევა;

- თანამდებობრივი დაქვეითება, დროებითი უფლებამოსილების შეჩერება ან შრომითი ხელშეკრულების გაუქმება;
- დამამცირებელი ქმედებები;
- მოსალოდნელ დაწინაურებაზე უარის თქმა;
- თანამშრომლის სამუშაო სფეროსთან დაკავშირებული შეხვედრებიდან გარიცხვა;
- მუქარები, როგორც სამუშაო გარემოში, ასევე მის ფარგლებს გარეთ;
- თანამშრომლის მიმართ ნებისმიერი მტრული ქმედება.

საჩივრების მართვა

ნებისმიერი საჩივრის მიღებისას, ხდება საქმის არსებით მხარეების შეფასება დეპარტამენტებისა და დარგის ექსპერტების ჩართულობით. პროცესში მუდმივად ჩართული შესაბამისობის განყოფილება, იურიდიული სამსახური, საჭიროებისამებრ, სხვა სტრუქტურული ერთეულები, მაგალითად, ადამიანური რესურსების მართვის სამსახური. თუ ობიექტური საფუძვლების გათვალისწინებით მივიღებთ გადაწყვეტილებას მოკვლევის დაწყების შესახებ, განხილვაში ჩაერთვება შესაბამისი საგამოძიებო კომისია. მოკვლევის შედეგები გადაეგზავნება შესაბამისი უფლებამოსილების პირს და შეიძლება გამოყენებულ იქნას დისციპლინური სახდელი, გადაცდომის დადასტურების შემთხვევაში. ასევე მოხდება კომპანიის იმ თანამშრომლის ინფორმირებაც, რომელმაც გააკეთა განაცხადი პრობლემის შესახებ.

ამასთანავე, დაუშვებელია დამოუკიდებელი, არასანქცირებული მოკვლევის წარმოება. აკრძალულია კოლეგებისათვის (გარდა თქვენი უშუალო ხელმძღვანელისა) ნებისმიერი იმ პირის ვინაობის გამჟღავნება, რომლის გადაცდომაში მონაწილეობის შესახებ არ არსებობს სათანადო მტკიცებულებები.

შიდა მოკვლევები

შესაძლოა საჭირო გახდეს თანამშრომლის დახმარება ამა თუ იმ საკითხის ან დარღვევის მოკვლევაში. კომპანია იმედოვნებს, რომ მოკვლევის პროცესში თანამშრომელი შეინარჩუნებს პროფესიულ ეთიკას და მიაწვდის მას უტყუარ და ზუსტ ინფორმაციას. მოკვლევისათვის ხელის შეშლის ნებისმიერი მცდელობა, როგორიცაა დოკუმენტებისა თუ სხვა მტკიცებულებების განადგურება ან შეცვლა, ასევე სხვების წაქეზება ყალბი ინფორმაციის მოწოდებისაკენ, წარმოადგენს კომპანიის ეთიკის კოდექსის დარღვევას. იმ შემთხვევაში, თუ მოკვლევით გამოვლინდება კოდექსის, შიდა ნორმატიული დოკუმენტების ან კანონმდებლობის დარღვევა, კომპანია მიიღებს შესაბამის ზომებს. გარემოებების გათვალისწინებით, აღნიშნული შესაძლოა მოიცავდეს დისციპლინურ პასუხისმგებლობას, მათ შორის შრომითი ურთიერთობის შეწყვეტას, ხოლო მესამე მხარეებთან - სახელშეკრულებო ურთიერთობის გაუქმებას. მოქმედი კანონმდებლობის დარღვევის შემთხვევაში, ფიზიკურ პირებს ასევე შესაძლოა დაეკისროთ სამოქალაქო ან სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა.

ეთიკური გადაწყვეტილებების მიღება

ეთიკური გადაწყვეტილებების მიღება კომპანიის წარმატების წინაპირობაა. გარკვეული გარემოებები აშკარაა, ზოგიერთი კი ბუნდოვანი, რამაც შესაძლოა გაართულოს ეთიკური არჩევანის გაკეთება. იმ შემთხვევაში, თუ აღმოჩნდებით სიტუაციაში, როდესაც მიღებული გადაწყვეტილება არ არის ერთმნიშვნელოვანი ან გაგიჩნდებათ გარკვეული ეჭვი, გთხოვთ, იხელმძღვანელოთ შემდეგი კითხვებით და გააანალიზოთ შესაბამისი პასუხები:

- შეესაბამება თუ არა მოცემული ვითარება კომპანიის კოდექსს, ღირებულებებსა და შესაბამის ნორმატიულ დოკუმენტებს?
- არის თუ არა ეს ქმედება კანონიერი და მაქვს თუ არა მისი განხორციელების უფლებამოსილება?
- შეიძლება თუ არა ამით ვინმეს ზიანი მიადგეს?
- წარმოადგენს თუ არა ეს სწორ გადაწყვეტილებას?
- ამ საკითხის გასაჯაროების შემთხვევაში, ვიგრძნობ თუ არა თავს კომფორტულად როგორც პიროვნულად, ისე კომპანიის დონეზე?

თუ ზემოთჩამოთვლილ ან მსგავსი კითხვების დასმის შემდეგ ეჭვი გაგიჩნდებათ, განიხილეთ თქვენი გადაწყვეტილება თქვენს მენეჯერთან ან სხვა კოლეგასთან, მიმართეთ კომპანიის ექსპერტებს დახმარებისთვის ან გამოიყენეთ ჩვენი უკუკავშირის ერთ-ერთი არხი. თქვენ მარტო არ ხართ და არცერთ რთულ სიტუაციაში არ უნდა იგრძნოთ თავი მარტო.

2. შრომის უსაფრთხოება, ჯანმრთელობის დაცვა, უსაფრთხოების ტექნიკა, გარემოს დაცვა და სოციალური პასუხისმგებლობა

უსაფრთხოება კომპანიის საქმიანობის ქვაკუთხედი და ერთ-ერთი ფუნდამენტური ღირებულებაა. კომპანია იღებს ვალდებულებას, დაიცვას უსაფრთხოების ნორმები, გარემო და პატივი სცეს იმ საზოგადოებას, სადაც ოპერირებს. უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი მიმართულებით კომპანია მიზნად ისახავს, რომ ჰქონდეს ნულოვანი ინციდენტი, არ მიაყენოს ზიანი ადამიანებს და გამორიცხოს გარემოზე უარყოფითი ზემოქმედება.

თითოეული თანამშრომელი უნდა იყოს უსაფრთხოების მაგალითის მიმცემი. კომპანიამ მიიღო მდგრადი განვითარების პოლიტიკა, რაც მოიცავს ნულოვანი გამონაბოლქვის მაჩვენებლის მიღწევას, კლიმატის ცვლილებასთან ბრძოლაში წვლილის შეტანასა და სოციალური საქმიანობის გაუმჯობესებას.

ჯანმრთელობის, უსაფრთხოებისა და გარემოს დაცვის სფეროში კომპანიის პოლიტიკა და წესები მიზნად ისახავს უსაფრთხო სამუშაო პირობების შექმნას როგორც საკუთარი თანამშრომლებისთვის, ისე ნებისმიერი მესამე მხარის მომსახურების მომწოდებელი იმ პერსონალისთვის, რომელიც ახორციელებს საქმიანობას კომპანიის ობიექტებზე. გარდა ამისა, მოცემული კოდექსის,

პოლიტიკისა და წესების მიზანია მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობის უზრუნველყოფა და საქმიანობის ეფექტურობის უწყვეტი გაუმჯობესება.

ამასთან დაკავშირებით:

- ხელი შეუწყვეთ ჯანმრთელობის დაცვის, შრომის უსაფრთხოებისა და ეკოლოგიური უსაფრთხოების ნორმების დაცვის კულტურის დამკვიდრებას, როგორც სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების, ისე მესამე მხარეებთან ურთიერთობის პროცესში;
- დაუშვებელია საფრთხის შემცველი ან მართლსაწინააღმდეგო ქმედება (ქმედება, რომელიც ეწინააღმდეგება მოქმედ კანონმდებლობას);
- აღკვეთეთ უსაფრთხოების ნორმების დარღვევით მიმდინარე სამუშაო პროცესი ან არაჯეროვანი გარემოება და მოახდინეთ დაუყოვნებლივი რეაგირება შეტყობინების გზით. ნუ ჩათვლით, რომ ამას თქვენს ნაცვლად სხვა პირი განახორციელებს;
- დეტალურად შეისწავლეთ საგანგებო სიტუაციების მართვის პროცედურები და საევაკუაციო გეგმები იმ ობიექტებზე, სადაც საქმიანობთ ან იმყოფებით ვიზიტით;
- აიღეთ პერსონალური პასუხისმგებლობა ეკოლოგიური უსაფრთხოების ნორმების დაცვაზე;
- საფუძვლიანად გაეცანით მდგრადი განვითარების პოლიტიკის შინაარსს და შეიტანეთ თქვენი წვლილი მის იმპლემენტაციაში.

3. თანამშრომლები

კომპანიის ღირებულებების თანახმად, ადამიანური რესურსები მისი უმთავრესი აქტივია. კომპანია ერთიანი გუნდია, სადაც აუცილებელია ურთიერთპატივისცემა და მზრუნველობა „ზრუნვის ღირებულებების“ შესაბამისად. სწორედ ეს არის როგორც ინდივიდუალური, ისე კორპორაციული წარმატების საფუძველი. კორპორაციული კულტურის შენარჩუნება ეფუძნება პატივისცემას, მზრუნველობას, სამართლიანობას, თანასწორობას, მრავალფეროვნებას, არადისკრიმინაციულ გარემოსა და ინკლუზიურობას. შპს „სოკარ ენერჯი ჯორჯიას“ თითოეულ თანამშრომელს მოეთხოვება აღნიშნული პრინციპების დაცვა როგორც კოლეგებთან, ისე მესამე მხარეებთან ურთიერთობისას. კომპანია მზად არის, დასახულ მიზნებს გუნდთან ერთად მიაღწიოს.

თანასწორობა, მრავალფეროვნება და ინკლუზიურობა

კომპანიისათვის თითოეული თანამშრომელი ღირებულებას წარმოადგენს. კომპანია მიაღწევს უკეთეს შედეგებს, თუ მრავალფეროვანი გამოცდილების, ნიჭისა და იდეების მქონე ადამიანები იმუშავებენ ერთიან გარემოში, სადაც ყველას ექნება შესაძლებლობა, შეიტანოს საკუთარი წვლილი და სრულად გამოიყენოს თავისი პოტენციალი.

კომპანია პატივს სცემს თანამშრომელთა უფლებას, თავად გადაწყვიტონ, სურთ თუ არა პროფესიულ კავშირებში გაერთიანება კოლექტიური მოლაპარაკებების წარმოების მიზნით. დაუშვებელია ნებისმიერი თანამშრომლის დისკრიმინაცია, რომელიც სარგებლობს აღნიშნული უფლებით. ყველა

თანამშრომელი უნდა ფლობდეს ინფორმაციას საკუთარი შრომითი ხელშეკრულების არსებითი პირობების შესახებ.

კომპანია უსმენს თითოეულ თანამშრომელს და მხარს უჭერს ინკლუზიურ მიდგომას ნებისმიერი თანამშრომლის მიმართ, იქნება ეს სამუშაო შეხვედრებზე თუ ყოველდღიურ ურთიერთობებში.

ამასთან დაკავშირებით:

- ყველას მოეპყარით პატივისცემით, სამართლიანად და ღირსებით;
- პატივი ეცით გუნდის თითოეული წევრის კულტურულ თუ სხვა სახის ინდივიდუალურ თავისებურებებს;
- იყავით ღია ახალი იდეებისა და განსხვავებული მოსაზრებების მიმართ;
- წაახალისეთ და მოუსმინეთ მათ, ვინც გამოთქვამს საკუთარ მოსაზრებას.

შევიწროება, დისკრიმინაცია და თანაბარი შესაძლებლობები

კომპანიის პრინციპია, რომ თითოეულ ადამიანს მოვეპყროთ სამართლიანად, პატივისცემითა და ღირსეულად. შპს „სოკარ ენერჯი ჯორჯია“ დასაქმების თანაბარ შესაძლებლობებს სთავაზობს ყველა კანდიდატს. ჩვენი მიზანია, უზრუნველვყოთ ღირსეული სამუშაო პირობები და თანაბარი ანაზღაურება შესრულებული სამუშაოსთვის, რაც ეფუძნება ობიექტურ კრიტერიუმებსა და კატეგორიებს. კომპანია არ დაუშვებს შევიწროებისა და ძალადობის არანაირ ფორმას, მათ შორის სექსუალურ შევიწროებასა და ბულინგს. შევიწროება შესაძლოა მომდინარეობდეს კოლეგებისგან, ხელმძღვანელებისგან ან მესამე პირებისგან.

კომპანიის მიზანია, შექმნას სამუშაო გარემო, სადაც ადამიანებს პატივისცემით მოეპყრობიან, მათი ინდივიდუალური განსხვავებებისა თუ პიროვნული თვისებების მიუხედავად. კომპანია არ დაუშვებს თანამშრომლების ან კომპანიაში დასაქმების მსურველი კანდიდატების დისკრიმინაციას. დისკრიმინაციად მიიჩნევა ნებისმიერი მიკერძოებული მოპყრობა რასის, სქესის, ასაკის, შეზღუდული შესაძლებლობების, ქონებრივი მდგომარეობის, კომპანიაში დაკავებული თანამდებობის, სექსუალური ორიენტაციის, რელიგიური ან პოლიტიკური შეხედულებების, ეროვნული ან ეთნიკური წარმომავლობის, ოჯახური მდგომარეობის ან მშობლის სტატუსის ან ნებისმიერი სხვა მახასიათებლის საფუძველზე, რამაც შეიძლება დაარღვიოს თანასწორობა.

ამასთან დაკავშირებით:

- აიღეთ პირადი პასუხისმგებლობა შევიწროებისა და დისკრიმინაციისგან თავისუფალი სამუშაო გარემოს შესაქმნელად და შესანარჩუნებლად;
- მიიღეთ ბიზნეს გადაწყვეტილებები დამსახურების მიხედვით და არ განახორციელოთ დისკრიმინაცია ზემოთ აღწერილი ფაქტორების საფუძველზე;

- გაითვალისწინეთ, რომ სექსუალური შევიწროება მოიცავს არასასურველ სექსუალურ ხასიათის ქმედებებს, სექსუალური მომსახურების მოთხოვნას, ფიზიკურ კონტაქტს ან ნებისმიერ სხვა სექსუალური ხასიათის შეურაცხმყოფელ ქცევას;
- მკაფიოდ განუსაზღვრეთ მესამე მხარეს (მათი თანამშრომლების ჩათვლით) და შპს "სოკარ ენერჯი ჯორჯიას" სახელით მომუშავე ნებისმიერ სხვა პირებს, ასევე ბიზნეს პარტნიორებს, რომ იმოქმედონ პრინციპების შესაბამისად.

ნარკოტიკები და ალკოჰოლი

ყოველთვის გაითვალისწინეთ ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების რისკები მუშაობისას, იქნება ეს ოფისში, ობიექტზე თუ დისტანციურად. არ დაუშვათ მუშაობა ალკოჰოლის ან ნარკოტიკული ნივთიერებების ზემოქმედების ქვეშ, მათ შორის რეცეპტით და ურეცეპტოდ გაცემული მედიკამენტების ზემოქმედების ქვეშ, თუ ეს უშლის ხელს სამუშაოს ჯეროვან შესრულებას.

აკრძალულია სამუშაო სივრცეში ნარკოტიკებისა და ალკოჰოლის მოხმარება ან ნარკოტიკებისა ან ალკოჰოლის ზემოქმედების ქვეშ ყოფნა.

თუმცა, ალკოჰოლის შეზღუდული რაოდენობით მოხმარება დაშვებულია, როდესაც ეს გამართლებულია ადგილობრივი წეს-ჩვეულებებით, ტრადიციებით ან გარემოებებით, მათ შორის კომპანიის მიერ ორგანიზებული ღონისძიებების დროს, იმ პირობით, რომ ალკოჰოლის მიღება და ალკოჰოლის ზემოქმედების ქვეშ ყოფნა არ გულისხმობს მექანიზმების მართვას, სატრანსპორტო საშუალების მართვას ან სხვა შეუთავსებელ საქმიანობას. ნარკო და ალკოტესტირება შეიძლება ჩატარდეს საჭიროებისამებრ და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

ამასთან დაკავშირებით:

- არ იმუშაოთ ნარკოტიკული ან ალკოჰოლის ზემოქმედების ქვეშ;
- დაუყოვნებლივ განაცხადეთ ნებისმიერი უბედური შემთხვევის, დაზიანების, დაავადების ან საშიში ან არაჯანსაღი მდგომარეობის შესახებ.

სექსუალური მომსახურებისა და სექს-შანტაჟის კომერციალიზაცია

სექსუალური მომსახურების შეძენა უკანონოა, შეიძლება ხელი შეუწყოს ადამიანების ექსპლუატაციას და საფრთხე შეუქმნას უსაფრთხოებას. ადამიანების ექსპლუატაცია ადამიანის უფლებების დარღვევაა. ადგილობრივი წესების, რეგულაციებისა და წეს-ჩვეულებების მიუხედავად, კომპანია გმობს სექსუალური მომსახურების ნებისმიერ კომერციალიზაციას და კრძალავს სექსუალური მომსახურების მიღებას ან მიწოდებას კომერციულ ფორმაში ჩვენი თანამშრომლების მიერ, როგორც კომპანიის ტერიტორიაზე, ასევე მის ფარგლებს გარეთ სამუშაო საათებში ან სამუშაო დავალებების შესრულების ან ბიზნეს მივლინებების დროს. კომპანია ასევე კრძალავს სექსუალური შანტაჟის ნებისმიერ ფორმას, რაც კორუფციის სპეციფიკურ ფორმას წარმოადგენს.

ამასთან დაკავშირებით:

- არასოდეს შესთავაზოთ, უზრუნველყოთ, მოითხოვოთ ან შეიძინოთ სექსუალური მომსახურება კომპანიის ნებისმიერ ტერიტორიაზე ან მის გარეთ - სამუშაო საათებში ან ბიზნეს მივლინებაში ყოფნისას ან სხვა სამსახურებრივი დავალებების შესრულებისას;
- არასოდეს წააქეზოთ სხვები სექსუალური მომსახურების შეთავაზებისკენ, გაწევისკენ, მოთხოვნისკენ ან შეძენისკენ; ასევე, არასოდეს დათანხმდეთ სექსუალური მომსახურების მიღებაზე, რომელიც სხვის მიერ არის დაფინანსებული;
- არასოდეს მოითხოვოთ ან განახორციელოთ სექსუალური შანტაჟი და არ დათანხმდეთ სექსუალურ მომსახურებაზე ნებისმიერი დაპირებული, მოსალოდნელი თუ რეალურად მიღებული სარგებლის სანაცვლოდ.

4. კომპანიის ქონებისა და სხვა აქტივების დაცვა

კომპანია თანამშრომლებს ანდობს საკუთარ აქტივებს სამუშაო პროცესის ეფექტური წარმართვის მიზნით. თითოეულმა თანამშრომელმა კომპანიის აქტივები უნდა გამოიყენოს ჯეროვნად, დაიცვას ისინი დაკარგვის, დაზიანების, ქურდობის, გაფლანგვისა თუ არამიზნობრივი მოხმარებისგან. კომპანიის აქტივები მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება მხოლოდ ფიზიკური აქტივებით, როგორიცაა შპს „სოკარ ენერჯი ჯორჯიას“ საკუთრებაში არსებული მიწა საკუთრების და სხვა უფლებებით, ქარხნები, შენობები და ნაგებობები (მათი უსაფრთხოების ზონების ჩათვლით), აღჭურვილობა, კომპიუტერები, ლეპტოპები, ასევე ციფრული აქტივები, არამატერიალური აქტივები, საკუთრების უფლება და ფინანსური აქტივები. ანგარიშვალდებულების ღირებულების შესაბამისად, ჩვენ პასუხისმგებელნი ვართ ჩვენი აქტივების დაცვაზე.

ამასთან დაკავშირებით:

- დაიცავით კომპანიის აქტივები დაკარგვის ან დაზიანებისგან;
- არ გამოიყენოთ კომპანიის აქტივები (მაგ., მიწის ნაკვეთები, შენობები, კომპიუტერები და ა.შ.) პირადი, კომერციული ან სხვა სახის პირადი მიზნებისთვის;
- გახსოვდეთ, რომ კომპანიის ქონების ნებართვის გარეშე აღება ჩაითვლება ქურდობად და შეიძლება გამოიწვიოს დისციპლინური პასუხისმგებლობა, მათ შორის სამსახურიდან გათავისუფლება და შესაბამისი ორგანოებისთვის საკითხის შეტყობინება;
- კომპანიის საკრედიტო ბარათები (თუ ისინი თქვენი თანამდებობისთვისაა გათვალისწინებული) გამოიყენეთ მხოლოდ გონივრული და შეთანხმებული საქმიანი ხარჯებისთვის და არასდროს გამოიყენოთ პირადი მოხმარებისთვის;
- დარწმუნდით, რომ კომპანიის სახსრებისა და აქტივების მისაღებად გამოყენებული დოკუმენტები ზუსტი და სრულია. გახსოვდეთ, რომ არაზუსტი ან დაუდასტურებელი ჩანაწერები (ბრძანებები, ნებართვები, ანგარიშის ჩანაწერები და ა.შ.) შეიძლება ჩაითვალოს თაღლითობად;
- აკრძალულია დოკუმენტების უკანონოდ დამალვა, შეცვლა ან განადგურება.

ინფორმაციული უსაფრთხოება და IT სისტემები

ორგანიზაცია მისი ღირებულებების გათვალისწინებით, მუდმივად დაიცავს და შეასრულებს საკანონმდებლო, სახელშეკრულებო და ნორმატიულ მოთხოვნებს და ვალდებულებებს, რათა უზრუნველყოფილი იყოს კომპანიის და დაინტერესებული მხარეების ინფორმაციის კონფიდენციალურობა, მთლიანობა და ხელმისაწვდომობა.

აღნიშნული მოიცავს როგორც ინფორმაციული უსაფრთხოების, ასევე კიბერ უსაფრთხოების საკითხებს, თანამშრომელთა მხრიდან შესაბამისი ცოდნისა და ცნობიერების გათვალისწინებით მოქმედებას, რადგან ისინი წარმოადგენენ კომპანიის უსაფრთხოების პირველ და მთავარ ხაზს.

გასათვალისწინებელია, რომ ინფორმაციული სისტემების გამოყენებით შექმნილი, დამუშავებული თუ გადაცემული ინფორმაცია ავტომატურად წამოადგენს კომპანიის საკუთრებას და მასზე ვრცელდება წინასწარ დადგენილი წესები და შესაბამისი კონტროლის მექანიზმები, რათა შემცირებულ იქნას ინფორმაციული და კიბერ უსაფრთხოების რისკები.

კომპანია უზრუნველყოფს ინფორმაციული უსაფრთხოების მართვის სისტემის და მისი გავრცელების სფეროში მოქცეული პროცესებისა და სტრუქტურული ერთეულების მხარდასაჭერად საჭირო ადამიანური, ფინანსური და ტექნიკური რესურსების ხელმისაწვდომობას.

კომპანია უზრუნველყოფს თანამშრომელთათვის მართვის სისტემის ფარგლებში არსებული დოკუმენტაციის ხელმისაწვდომობას და ცნობიერების ამაღლების მიზნით შესაბამისი ტრენინგების ჩატარებას ინფორმაციული უსაფრთხოების მიმართულებით. თანამშრომლის აყვანისას, ადაპტაციის ფარგლებში, პირველი ერთი კვირის მანძილზე, თანამშრომელს ეგზავნება და ეცნობა შემდეგ ინფორმაციას დოკუმენტის ან მეილის სახით:

- ინფორმაციული უსაფრთხოების პოლიტიკა;
- ელექტრონული ფოსტით სარგებლობის პროცედურა;
- პორტატული მოწყობილობების მართვისა და უსაფრთხოების პროცედურა;
- პაროლების პოლიტიკა;
- წვდომის კონტროლის პროცედურა;
- ინფორმაციული უსაფრთხოების ინციდენტების მართვის პროცედურა;
- ინფორმაციული ტექნოლოგიების ინციდენტების მართვის პროცესი.

წელიწადში ორჯერ თანამშრომლებს ეგზავნებათ ელ. ფოსტაზე ინფორმაციული უსაფრთხოების პოლიტიკა, ინფორმაციული ტექნოლოგიების ინციდენტების მართვის პროცესი, ინფორმაციული უსაფრთხოების ინციდენტების მართვის პროცედურა, ცვლილებების მართვის პროცესი და შეტყობინება ინფორმაციული უსაფრთხოების მართვის სისტემის ფარგლებით მისი როლისა და პასუხისმგებლობების შესახებ, რომელიც მოიცავს:

- ინციდენტების დაფიქსირების შემთხვევაში, ინფორმაციის მიწოდების წესსა და პროცესში ჩართული პირების/როლების პასუხისმგებლობებს;
- ინფორმაციაზე წვდომის მოთხოვნის, მოპოვებისა და შენარჩუნების წესებს;
- შიდა კომუნიკაციის გეგმას.

კომპანიის ყველა თანამშრომელი ვალდებულია:

- დაიცვას ინფორმაციული უსაფრთხოების პოლიტიკის მოთხოვნები;
- პასუხისმგებლობის ფარგლებში მონაწილეობა მიიღოს აქტივებისა და რისკების მართვის პროცესში, საკუთარი პასუხისმგებლობის ფარგლებში;
- გაეცნოს მათთვის მომზადებულ ინფორმაციული უსაფრთხოების სატრენინგო მასალებს კომპეტენციის ამაღლების მიზნით;
- ინფორმაციული უსაფრთხოების მიმართულებით ნებისმიერი შეუსაბამობის დაფიქსირების შემთხვევაში აცნობოს ინფორმაციული უსაფრთოხების გუნდს (soc@socar.ge) და სერვის დესკს Dmis@socar.ge;
- დაიცვას IT და უსაფრთხოების მიმართულებით დადგენილი ყველა პოლიტიკა, პროცედურა თუ სხვა სამუშაო წესები;
- ინფორმაციული უსაფრთხოების ინციდენტის დაფიქსირების, ცვლილების ინიცირების ან ინფორმაციაზე წვდომის მოპოვების მოთხოვნის შემთხვევაში იმოქმედოს შესაბამისი პროცედურების შესაბამისად;
- კორპორატიული რესურსები (ელ.ფოსტა, ინტერნეტი, სამუშაო კომპიუტერი) არ გამოიყენოს პირადი მიზნებისთვის.

კომპანიის IT სისტემების და სერვისებით სარგებლობისათვის, ნებისმიერი სტრუქტურული ერთეულის ან/და თანამშრომლისათვის აუცილებელია დაფიქსიოს მოთხოვნა ელ. ფოსტის მისამართზე dmis@socar.ge, რადგან ნებისმიერი ახალი IT სისტემებით სარგებლობისათვის აუცილებელია თითოეული სერვისი და გადაწყვეტილება შეთანხმდეს SOCAR Group (SOCAR HQ - BAKU office)-ის ცენტრალურ IT მმართველ დეპარტამენტთან და გათვალიწინებული იქნას მნიშვნელოვანი ტექნიკური და უსაფრთხოების ასპექტები, სწორედ ამიტომ თითოეული სერვისის მოთხოვნისას აუცილებელია, გავითვალისწინოთ ქვემოთ მოცემული წესები:

(i) ახალი სერვისის/პროდუქტის შეძენა/დანერგვის ან/და არსებულ სერვისში ნებისმიერი ცვლილების საჭიროების შემთხვევაში, აუცილებელია აღნიშნული ინფორმაცია, წერილობით მიეწოდოს ინფორმაციული სისტემების განვითარებისა და მხარდაჭერის დეპარტამენტს, შემდეგ მისამართზე: dmis@socar.ge (მათ შორის ახალი სერვისების შესყიდვის საჭიროების დროს, როდესაც აღნიშნული სერვისის მომწოდებელი/მხარდამჭერი არის მესამე მხარე და არ საჭიროებს კომპანიის ინფორმაციული ტექნოლოგიების დეპარტამენტის მიერ იმპლემენტაცია/მხარდაჭერას);

(ii) მოწოდებული ინფორმაციის დაზუსტებისა და სისრულის უზრუნველყოფის შემდგომ, ინფორმაციული სისტემების განვითარებისა და მხარდაჭერის დეპარტამენტის

უფლებამოსილი თანამშრომელი დოკუმენტურ ინფორმაციას განსახილველად აგზავნის ზემოთ ხსენებულ საბჭოსთან;

(iii) საბჭოს უფლება აქვს მოითხოვოს დამატებით ნებისმიერი ტიპის ინფორმაცია მოთხოვნილ/არსებულ სერვის(ებ)თან დაკავშირებით, შესაბამისად ინიციატორი ვალდებულია მიაწოდოს მოთხოვნილი ინფორმაცია, წინააღმდეგ შემთხვევაში სამუშაოები არ გაგრძელდება/შესრულდება;

(iv) აღნიშნული სერვისის ტექნიკური და უსაფრთოხების საკითხების განხილვა და შეთანხმება SOCAR Group (SOCAR HQ – Baku office)-თან მოხდება საბჭოს მიერ;

(v) ინიციატორს საბოლოო გადაწყვეტილება ეცნობება საბჭოს მიერ და მხოლოდ შემდგომ იქნება შესაძლებელი შესაბამისი სამუშაოების დაწყება, მათ შორის შეძენა/იმპლემენტაცია.

შიდა ინფორმაცია

აკრძალულია ნებისმიერი არასაჯარო ინფორმაციის გამოყენება, რომელმაც შესაძლოა გავლენა მოახდინოს მესამე პირების გადაწყვეტილებაზე კომპანიის ობლიგაციებსა თუ სხვა ფინანსურ ინსტრუმენტებში ინვესტირებისას. ასეთი მონაცემები ითვლება „შიდა კონფიდენციალურ ინფორმაციად“. ამ ინფორმაციით ვაჭრობა ან მისი მესამე პირებისთვის გაზიარება უკანონოა და ითვალისწინებს მკაცრ სასჯელს.

თქვენთვის ასევე შეიძლება ცნობილი გახდეს კომპანიის შესახებ ისეთი არასაჯარო ინფორმაცია, რომელიც, შესაძლოა, საინტერესო იყოს მესამე პირებისთვის. ასეთი ინფორმაციით ვაჭრობა ან მისი მესამე პირებისთვის გაზიარება კატეგორიულად აკრძალულია.

ამასთან დაკავშირებით:

- დაიცავით ინფორმაცია, რომელიც არ არის საჯაროდ ხელმისაწვდომი და ნუ გახდით მას ხელმისაწვდომს მესამე პირებისთვის;
- არასდროს იყიდოთ ან გაყიდოთ კომპანიის ობლიგაციები, სხვა ფინანსური ინსტრუმენტები, თუ ფლობთ შიდა კონფიდენციალურ ინფორმაციას;
- არასოდეს სცადოთ კომპანიის ობლიგაციებით ან სხვა ფინანსური ინსტრუმენტების ფასით მანიპულირება ცრუ ინფორმაციის მიწოდებით;
- არ განახორციელოთ ვაჭრობა მესამე მხარის მეშვეობით, თუ ფლობთ შიდა კონფიდენციალურ ინფორმაციას.

თუ გაგიჩნდათ ეჭვი ზემოაღნიშნულთან დაკავშირებით, გთხოვთ, განაცხადოთ ამის შესახებ წინამდებარე პოლიტიკაში მითითებული პროცედურის შესაბამისად.

5. საქმიანობის პრინციპები

კომპანიის მიზანია, იმ საზოგადოებასთან, რომელშიც ის ოპერირებს, ჩამოაყალიბოს მტკიცე, კეთილსინდისიერი და გრძელვადიანი ურთიერთობები.

ბიზნესსაქმიანობის პროცესში, კომპანია იცავს მოქმედ კანონმდებლობასა და რეგულაციებს. კომპანია მოქმედებს ეთიკის, მდგრადი განვითარებისა და სოციალური პასუხისმგებლობის ნორმების შესაბამისად. ადამიანის უფლებების პატივისცემა კომპანიის საქმიანობის განუყოფელი ნაწილია.

კომპანია პატივს სცემს იმ გარემოსა და საზოგადოებას, სადაც ახორციელებს საქმიანობას. აღნიშნული მოიცავს ურთიერთქმედებას მესამე მხარის მომსახურების მომწოდებლებთან, ბიზნესპარტნიორებთან, ერთობლივ საწარმოებთან, მომხმარებლებთან, საჯარო მოხელეებთან, კონკურენტებთან თუ ნებისმიერ სხვა დაინტერესებულ მხარესთან. კომპანია თანამშრომლობს სახელმწიფო სტრუქტურებთან და საზოგადოებასთან, რათა ხელი შეუწყოს უწყვეტ განვითარებას და სარგებელი მოუტანოს იმ რეგიონებს, სადაც ოპერირებს.

კომპანია აცნობიერებს სუფთა ენერგიის მნიშვნელობას და ნულოვან ემისიაზე გადასვლის აუცილებლობას და მუშაობს ამ მნიშვნელოვან ინიციატივაზე შესაბამის გუნდებთან ერთად, კომპანიის მდგრადი განვითარების პოლიტიკის ფარგლებში.

მესამე მხარეებთან ნებისმიერი ურთიერთქმედებისას აუცილებელია რისკების ჯეროვანი მართვა და კონტროლის სისტემების არსებობა. დაუშვებელია ბიზნესსაქმიანობაში ნებისმიერი სახის ქრთამი და კორუფცია. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით კომპანიას აქვს მკაფიო და შეუვალი პოზიცია.

მექრთამეობისა და კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა

კომპანია ატარებს ნულოვანი ტოლერანტობის პოლიტიკას ნებისმიერი დანაშაულის მიმართ, მათ შორის თაღლითობის, მექრთამეობისა და კორუფციის ხელშემწყობი გადახდებისა და ანტიმონოპოლიური კანონმდებლობის დარღვევების მიმართ. კომპანიის საქმიანობაში ჩართული ყველა პირი ვალდებულია, დაიცვას ანტიკორუფციული კანონმდებლობა (ABC) როგორც იმ ქვეყნებში, სადაც ოპერირებს, ისე საერთაშორისო დონეზე.

კომპანიაში დანერგილია წესები და კონტროლის მექანიზმები საქმიანობის პროცესში კორუფციული რისკების პრევენციისა და აღკვეთის მიზნით. აღნიშნული მოიცავს შემდეგ შიდა დოკუმენტებს: მექრთამეობისა და კორუფციის, ფულის გათეთრებისა და დანაშაულის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლისა და გადასახადებისგან თავის არიდების პოლიტიკა.

ამასთან დაკავშირებით:

- დაიცავით მექრთამეობისა და კორუფციის, ფულის გათეთრებისა და დანაშაულის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლის და გადასახადებისგან თავის არიდების საწინააღმდეგო პოლიტიკა;
- არასდროს ჩაერთოთ, შესთავაზოთ, მიიღოთ, დაუშვათ მექრთამეობა ან კორუფცია ნებისმიერი მიზეზით;

- არ სცადოთ, არ შესთავაზოთ, არ დაჰპირდეთ, არ მისცეთ, ავტორიზაცია არ გაუკეთოთ, არ მოითხოვოთ, ან არ მიიღოთ რაიმე ღირებული ნივთი, პირდაპირ ან ირიბად, ნებისმიერი პირისგან (მათ შორის ნებისმიერი საჯარო მოხელისგან), შესაბამისი პოლიტიკით გათვალისწინებული შემთხვევების ჩათვლით;
- თავი შეიკავეთ ნებისმიერი სახის საშუამავლო თანხის გადახდისგან;
- მონაწილეობა მიიღეთ სავალდებულო ანტიკორუფციულ ტრენინგში, რათა გაიგოთ და მართოთ ჩვენს საქმიანობაში არსებული რისკები;
- უზრუნველყავით, რომ ყველა ბიზნესპარტნიორი, რომელიც წარმოადგენს კომპანიას ან მოქმედებს მისი სახელით, ასევე მესამე მხარის მომსახურების მომწოდებლები (რისკის დონის გათვალისწინებით), იცნობდნენ და იღებდნენ ვალდებულებას, დაიცვან ანტიკორუფციული (ABC) და ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლის (AML) პოლიტიკის მოთხოვნები.

მითითება: შპს „სოკარ ენერჯი ჯორჯიას“ მექრთამეობისა და კორუფციის, ფულის გათეთრებისა და დანაშაულის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლის და გადასახადებისგან თავის არიდების საწინააღმდეგო პოლიტიკა

აღრიცხვის სიზუსტე და ანგარიშგება

კომპანიის შესახებ ინფორმაციის აღრიცხვა და ანგარიშგება ხორციელდება კეთილსინდისიერად, ზუსტად და ობიექტურად. აღნიშნული მოიცავს როგორც ფინანსურ, ისე არა-ფინანსურ ინფორმაციას. ზუსტი ჩანაწერების წარმოება აუცილებელია გონივრული ბიზნეს გადაწყვეტილებების მისაღებად და შესაბამისობის უზრუნველსაყოფად. ჩანაწერების ფალსიფიკაცია ან ფაქტების დამახინჯება დაუშვებელია. კომპანიისთვის მიუღებელია თაღლითობისა და გაყალბების ნებისმიერი ფორმა.

ამასთან დაკავშირებით:

- აწარმოეთ ზუსტი და სრულყოფილი აღრიცხვა. აღნიშნული მოიცავს როგორც ფინანსურ, ისე არა-ფინანსურ ინფორმაციას, მათ შორის გარემოსდაცვით მონაცემებსა და საოპერაციო ანგარიშებს;
- არასოდეს შეიყვანოთ ყალბი, მცდარი მონაცემები კომპანიის დოკუმენტაციასა და აღრიცხვის ჟურნალებში;
- ფინანსური და არა-ფინანსური ჩანაწერების მომზადებისას ყოველთვის გამოიჩინეთ სიფრთხილე, რათა უზრუნველვყოთ სრული, სამართლიანი, ზუსტი და გასაგები ინფორმაციის ასახვა კომპანიის ყველა ანგარიშგებასა და საჯარო კომუნიკაციაში;
- არასოდეს გაანადგუროთ მონაცემები მიმდინარე ან მოსალოდნელი მოკვლევის ან აუდიტის პროცესში.

ფულის გათეთრებისა და დანაშაულის დაფინანსების აღკვეთა და გადასახადებისგან თავის არიდება

ფულის გათეთრება კანონსაწინააღმდეგოა. ეს გულისხმობს კრიმინალური საქმიანობით (მაგალითად, ნარკოტრაფიკით) მიღებული დიდი ოდენობით ფულადი სახსრებისთვის ლეგალიზების პროცესს. დანაშაულის დაფინანსება კი მოიცავს ლეგალური სახსრების გამოყენებას ტერორიზმის დაფინანსების ან მასობრივი განადგურების იარაღის შესაქმნელად.

კომპანიის მიზანია, შესყიდვების პოლიტიკის, აუდიტის, სათანადო შემოწმებისა და გადახდის პროცესების მეშვეობით თავიდან აიცილოს ფულის გათეთრება და დანაშაულის დაფინანსება.

დაუშვებელია ნებისმიერი პირის დახმარება ისეთი ქმედების განხორციელებაში, რომელიც ხელს შეუწყობს გადასახადებისგან უკანონოდ თავის არიდებას ან სხვაგვარად დაარღვევს საგადასახადო კანონმდებლობას.

ამასთან დაკავშირებით:

- დაიცავით კომპანიის მექრთამეობისა და კორუფციის, ფულის გათეთრების და დანაშაულის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლის, ასევე გადასახადებისგან თავის არიდების პოლიტიკა;
- არ დაუშვათ, არ შეუწყოთ ხელი ან არ დაუჭიროთ მხარი ფულის გათეთრებას, დანაშაულის დაფინანსებას და არ ითანამშრომლოთ იმ პირებთან, რომლებიც, შესაძლოა, დაკავშირებული იყვნენ უკანონო საქმიანობასთან;
- საფუძვლიანად შეამოწმეთ ყველა გარე მომწოდებელი (მესამე პირი) და დარწმუნდით მათ კეთილსინდისიერებაში. ეს აუცილებელია ფულის გათეთრების, კრიმინალის დაფინანსებისა და გადასახადებისგან თავის არიდების რისკების ასაცილებლად;
- არ დაეხმაროთ არავის გადასახადებისგან თავის არიდებაში;
- ეჭვის არსებობის შემთხვევაში, მიმართეთ შესაბამისობის განყოფილებას კონსულტაციისთვის, რათა უკეთ გაიაზროთ ფულის გათეთრების, დანაშაულის დაფინანსების ან გადასახადებისგან თავის არიდების საკითხები და კომპანიისთვის მსგავსი რისკების შემცირების გზები.

მითითება: შპს „სოკარ ენერჯი ჯორჯიას“ მექრთამეობისა და კორუფციის, ფულის გათეთრებისა და დანაშაულის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლის და გადასახადებისგან თავის არიდების საწინააღმდეგო პოლიტიკა

საჩუქრები, გასართობი ღონისძიებები, წახალისება, მასპინძლობა და ღონისძიებების ორგანიზება

ლეგიტიმური ბიზნეს მიზნით საჩუქრების გაცვლა და გასართობი ღონისძიებების გაზიარება ხელს უწყობს მესამე მხარეებთან კონსტრუქციული ურთიერთობების ჩამოყალიბებას. თუმცა, საჩუქრებისა და მასპინძლობის შეთავაზება ან მიღება გარკვეულ სიტუაციებში, შესაძლოა,

მექრთამეობად და კორუფციად ჩაითვალოს, რის გამოც დაწესებულია მკაცრი შეზღუდვები საჩუქრებისა და გასართობი ღონისძიებების მიმართულებით.

ზოგადად, დაუშვებელია საჩუქრების ან გასართობი ღონისძიებების შეთავაზება ან მიღება შეღავათიანი პირობების მოპოვების ან ბიზნეს გარიგებებში გადაწყვეტილებებზე ზეგავლენის მოხდენის სანაცვლოდ.

საქმიანობის კიდევ ერთი სფეროა საჯარო მოხელეების მასპინძლობა, რაც მოიცავს სამთავრობო თანამდებობის პირების მგზავრობის ხარჯების ანაზღაურებას, რომლებიც სტუმრობენ კომპანიის ოფისს, ობიექტს ან სხვა ადგილს კომპანიის პროდუქტების ან ტექნოლოგიების დემონსტრირებისთვის ან კონკრეტული ბიზნეს საკითხების განსახილველად.

კომპანია არეგულირებს ზემოაღნიშნულ საკითხებს შესაბამისი ორგანიზაციული დოკუმენტებით.

ამასთან დაკავშირებით:

- დასაშვებია მხოლოდ სარეკლამო ხასიათის საჩუქრების (რომლებიც, როგორც წესი, შეიცავს კომპანიის ლოგოს) შეთავაზება, გაცემა ან მიღება, რაც არ უნდა იყოს ფუფუნების საგანი; გასართობი ღონისძიებები ან მასპინძლობა უნდა იყოს მოკრძალებული და ჰქონდეს მკაფიო ბიზნეს მიზანი;
- საჩუქრის, გასართობი ღონისძიების ან მასპინძლობის შეთავაზების ან მიღებისას გასათვალისწინებელია, როგორ აღიქმება ეს ქმედება სხვების მიერ; დაუშვებელია მსგავსი შეთავაზების გაკეთება ან მიღება, თუ აღნიშნული შეიძლება ჩაითვალოს, არამართლზომიერი უპირატესობის მინიჭებად;
- არ შესთავაზოთ, არ გასცეთ ან არ მიიღოთ საჩუქრები, გასართობი ღონისძიებები ან მასპინძლობა, რაც შესაძლოა აღიქმებოდეს, როგორც ქრთამი ან არის უხამსი, სექსუალური შეფერილობის მქონე ან სხვაგვარად შეუფერებელი;
- არ შესთავაზოთ, არ გასცეთ ან არ მიიღოთ საჩუქრები, გასართობი ღონისძიებები ან მასპინძლობა მესამე მხარეებთან ურთიერთობისას, როდესაც მონაწილეობთ ტენდერში, აუქციონში ან შესყიდვის სხვა პროცესში, ან შეგიძლიათ მათზე ზეგავლენის მოხდენა;
- საჯარო მოხელეების მასპინძლობის ხარჯების (მაგალითად, სამგზავრო ხარჯების) ანაზღაურებამდე აუცილებელია შესაბამისობის სამსახურის თანხმობის მოპოვება.

მითითება: შპს "სოკარ ენერჯი ჯორჯიას" საჩუქრების, გასართობი ღონისძიებების, წახალისების, მასპინძლობისა და ვიზიტების ორგანიზების პოლიტიკა

ინტერესთა კონფლიქტი

კომპანია პატივს სცემს ყველა თანამშრომლის კონფიდენციალურობას და მათ უფლებას, თავად მართონ პირადი საკითხები. თუმცა, ინტერესთა კონფლიქტი შესაძლოა წარმოიშვას მაშინ, როდესაც პირადი ინტერესები ეწინააღმდეგება კომპანიის ინტერესებს, რამაც, შესაძლოა, გავლენა

მოახდინოს კომპანიაში ობიექტური გადაწყვეტილებების მიღებაზე. ნებისმიერ შემთხვევაში, საჭიროა ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილება.

კონფლიქტის წარმოშობისას აუცილებელია მისი სათანადო მართვა. ინტერესთა კონფლიქტი შესაძლოა ზიანის მომტანი აღმოჩნდეს და საჭიროებს რეაგირებას.

კომპანიაში მოქმედებს ინტერესთა კონფლიქტის პოლიტიკა, რომელიც აღწერს, თუ როგორ უნდა მოგვარდეს პირადი და კორპორატიულ ინტერესთა კონფლიქტები.

ამასთან დაკავშირებით:

- დაიცავით შპს "სოკარ ენერჯი ჯორჯიას" ინტერესთა კონფლიქტის პოლიტიკა. ზოგადი მითითების სახით, ინტერესთა კონფლიქტი წარმოიშობა, თუ თქვენი ან თქვენი ნათესავის (ან იმ პირის, ვისთანაც ახლო ურთიერთობა გაქვთ) პირადი ინტერესები შეაფერხებს კომპანიის ინტერესებს ან თქვენს მიერ კომპანიის წინაშე ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას, რამაც, შეიძლება, გავლენა მოახდინოს თქვენს ობიექტურ გადაწყვეტილებებზე. კომპანიის ინტერესთა კონფლიქტის პოლიტიკა უფრო დეტალურად განიხილავს ინტერესთა კონფლიქტის სახეებს და შპს "სოკარ ენერჯი ჯორჯიას" შესაბამის მოთხოვნებს;
- იყავით ღია, გაამჟღავნეთ და განიხილეთ თქვენს მენეჯერთან ნებისმიერი ფაქტობრივი, პოტენციური ან სავარაუდო ინტერესთა კონფლიქტი, როგორც ეს დეტალურად არის აღწერილი ინტერესთა კონფლიქტის პოლიტიკაში.

მითითება: შპს "სოკარ ენერჯი ჯორჯიას" ინტერესთა კონფლიქტის პოლიტიკა

მესამე მხარის მომსახურების მიმწოდებლები და ბიზნეს პარტნიორები

კომპანია აფასებს თანამშრომლობას მესამე მხარის მომსახურების მიმწოდებლებთან (მათ თანამშრომლებთან) და შპს "სოკარ ენერჯი ჯორჯიასა" და მისი ბიზნეს პარტნიორების სახელით მომუშავე ნებისმიერ სხვა პირთან, რომლებიც იცავენ ბიზნეს ეთიკის სტანდარტებს და იზიარებენ უსაფრთხოების, ეთიკისა და შესაბამისობის პრინციპებს. კომპანია მოუწოდებს მათ, კოდექსის დარღვევების შესახებ შეატყობინონ კომპანიის ეთიკისა და შესაბამისობის მხარდაჭერის ცხელ ხაზს. აღნიშნული მესამე მხარეები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ბიზნესსაქმიანობაში, თუმცა მათ ასევე შეუძლიათ კომპანია დააყენონ რეპუტაციული, საოპერაციო და სამართლებრივი რისკების წინაშე.

შესაბამისად, კომპანია დიდი სიფრთხილით, ობიექტურად არჩევს პარტნიორ კომპანიებს, რაც მოიცავს კონტრაგენტის სათანადო შემოწმებას.

ამასთან დაკავშირებით:

- დაიცავით კომპანიის შესყიდვებისა და დადასტურების პროცედურა;
- ნებისმიერი ბიზნეს ურთიერთობის დამყარებამდე ან მასში ცვლილების შეტანამდე, იხელმძღვანელეთ კონტრაგენტის ჯეროვანი შესწავლის პროცედურებით. აღნიშნული შესწავლა მოიცავს მექრთამეობის, კორუფციის, ფულის გათეთრების, გადასახადებისგან თავის არიდების, ინტერესთა კონფლიქტის, ადამიანის უფლებების დარღვევის, მონოპოლიური საქმიანობის, არაკონკურენტუნარიანი ქმედებებისა და საერთაშორისო სავაჭრო შეზღუდვების რისკების შეფასებას;
- მკაფიოდ განუმარტეთ კომპანიის მოლოდინები მესამე მხარე მომსახურების მომწოდებლებსა და ბიზნესპარტნიორებს და რეგულარულად განახორციელეთ შემდგომი მონიტორინგი;
- მესამე მხარეების მხრიდან ნებისმიერი არაკეთილსინდისიერი ქმედების შესახებ აცნობეთ მენეჯერს ან კოდექსში მითითებულ ცხელ ხაზს.

ანტიკონკურენტული ქცევა

კომპანიის ყველა თანამშრომელი ვალდებულია, დაიცვას კონკურენციის შესახებ კანონმდებლობა. ეს კანონები იცავს კონკურენციას ანტიკონკურენტული ქცევის აკრძალვით. ზოგიერთი მათგანი ვრცელდება ეროვნულ საზღვრებს გარეთაც, მაგალითად, ევროკავშირისა და აშშ-ის რეგულაციები. კონკურენციის შესახებ კანონმდებლობა კომპლექსურია და ხშირად დამოკიდებულია კონკრეტულ ფაქტებზე. ამიტომ, კითხვების არსებობის შემთხვევაში, დაუკავშირდით შესაბამისობის განყოფილებას.

ამასთან დაკავშირებით:

- არასოდეს დადოთ რაიმე სახის შეთანხმება ან გარიგება კონკურენტებთან ფასების დადგენის, ტენდერებით მანიპულირების, კლიენტების გადანაწილების ან/და მიწოდების შეზღუდვის მიზნით;
- არასოდეს გაუზიაროთ კონკურენტებს კომერციული ტიპის ინფორმაცია;
- არასოდეს გამოიყენოთ ბოროტად ბაზარზე დომინანტური მდგომარეობა.

საერთაშორისო სავაჭრო შეზღუდვები

ნებისმიერი სხვა ტრანსნაციონალური კომპანიის მსგავსად, შპს „სოკარ ენერჯი ჯორჯია“ ვალდებულია დაიცვას ყველა მოქმედი ეროვნული და საერთაშორისო სავაჭრო შესაბამისობის რეგულაცია. სავაჭრო შესაბამისობა მოიცავს საქონლის, ტექნოლოგიების, პროგრამული უზრუნველყოფისა და მომსახურების იმპორტის, ექსპორტისა და შიდა ვაჭრობის მარეგულირებელ რეგულაციებს, ასევე საერთაშორისო სანქციებსა და შემზღუდავ სავაჭრო პრაქტიკას.

საერთაშორისო სავაჭრო შეზღუდვები და სანქციები, როგორც წესი, მიმართულია კონკრეტულ ქვეყნებთან, ეკონომიკურ სექტორებთან, სუბიექტებთან ან პრობლემურ პირებთან ბიზნეს ურთიერთობების წინააღმდეგ. ასევე გავრცელებულია საექსპორტო კონტროლი გარკვეული შეზღუდული საქონლის, ტექნოლოგიისა და პროგრამული უზრუნველყოფის ექსპორტზე ან ქვეყნის შიგნით გადაცემაზე.

სავაჭრო შეზღუდვებისა და ექსპორტის კონტროლის დარღვევას შესაძლოა მოჰყვეს სერიოზული შედეგები, მათ შორის ჯარიმები და თავისუფლების აღკვეთა.

ამასთან დაკავშირებით:

- დაიცავით კომპანიის გლობალური სანქციების პოლიტიკა;
- დაუყოვნებლივ დაუკავშირდით შესაბამისობის განყოფილებას, თუ თქვენ გიწევთ საქმიანი ურთიერთობა ქვეყანასთან, ინდუსტრიასთან, ორგანიზაციასთან ან პირთან, რომელიც სანქციების ან შეზღუდვების ქვეშაა;
- შეამოწმეთ თქვენი ბიზნეს პარტნიორები, მესამე მხარის მომსახურების მიმწოდებლები და სხვა შესაბამისი მხარეები (მათ შორის, მათი საკუთრების უფლება) სანქცირებულთა სიებში, რაც კომპანიის კონტრაგენტების შემოწმების პროცესის ნაწილია;
- დარწმუნდით, რომ იმპორტისთვის ან ექსპორტისთვის განკუთვნილი პროდუქციისა და ტექნოლოგიების კლასიფიკაცია წინასწარ არის განსაზღვრული. გამოიყენეთ შესაბამისი ქვეყნის კონტროლის სია ლიცენზირების მოთხოვნების დასადგენად. დარწმუნდით, რომ ყველა საჭირო მარკირება, დოკუმენტაცია, ლიცენზია და ნებართვა წესრიგშია. დახმარებისთვის მიმართეთ შესაბამისობის განყოფილებას;
- დარწმუნდით, რომ ტრანზაქციის ყველა მონაწილე მხარე შემოწმებულია შესაბამისი სანქცირებული კომპანიის რეესტრში.

მითითება: შპს "სოკარ ენერჯი ჯორჯიას" გლობალური სანქციების პოლიტიკა

კონფიდენციალურობა და პერსონალური მონაცემების დაცვა

კომპანია პატივს სცემს როგორც თავისი თანამშრომლების, ასევე მესამე მხარეების თანამშრომლების მათ შორის, მისი კლიენტების, კონფიდენციალურობას. კომპანიის მიერ პერსონალური მონაცემები მუშავდება კომპანიის ლეგიტიმური ინტერესის სფეროსთვის მიკუთვნებული ამოცანების შესასრულებლად, ასევე, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

პერსონალური მონაცემი არის ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც იდენტიფიცირებულ ან იდენტიფიცირებად ფიზიკურ პირს, მათ შორის, კომპანიის თანამშრომლებს, კონკტრაქტორებს, სამეთვალყურეო საბჭოს, დირექტორებს, აქციონერებს, მომხმარებლებს და სხვა ნებისმიერ პირს უკავშირდება. კომპანიის მიერ პერსონალური მონაცემებს დამუშავება ხდება საქართველოს მოქმედ კანონმდებლობასთან სრული შესაბამისობით.

ამასთან დაკავშირებით:

- დაიცავით შპს "სოკარ ენერჯი ჯორჯიას" შიდა რეგულაციები კონფიდენციალური ინფორმაციისა და პერსონალური მონაცემების დაცვის შესახებ;
- დაიცავით იმ ინფორმაციის კონფიდენციალობა, რომელიც მისთვის ცნობილი გახდა სამსახურებრივი მოვალეობების შესრულებისას;
- არ დაუშვათ მსგავსი ინფორმაციის გამჟღავნება, მესამე პირებისთვის გადაცემა, პირადი მიზნებისთვის გამოყენება ან ნებისმიერი სხვა უკანონო გზით დამუშავება შესაბამისი სამართლებრივი საფუძვლის გარეშე. აღნიშნული ვალდებულება ძალაში რჩება შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის შემდეგაც, ხოლო მისი დარღვევის შემთხვევაში, თანამშრომელს შესაძლოა დაეკისროს შესაბამისი პასუხისმგებლობა;
- თუ სამსახურებრივი უფლებამოსილებების შესრულებისას, კომპეტენციის ფარგლებში, დასაქმებულისთვის ცნობილი გახდა ინფორმაცია მონაცემთა უსაფრთხოების სავარაუდო დარღვევის შესახებ, (რომელიც იწვევს მონაცემების არამართლზომიერ ან შემთხვევით დაზიანებას, დაკარგვას, აგრეთვე უნებართვო გამჟღავნებას, განადგურებას, შეცვლას, მათზე წვდომას, მათ შეგროვებას/მოპოვებას ან სხვაგვარ უნებართვო დამუშავებას) მან ამის თაობაზე დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს დამსაქმებლის მიერ განსაზღვრულ უფლებამოსილ პირს.

ადგილობრივი საზოგადოებები და არასამთავრობო ორგანიზაციები

შპს "სოკარ ენერჯი ჯორჯიას" სურს დადებითი ცვლილებები შეიტანოს ყველგან, სადაც კომპანია საქმიანობას ეწევა. იგი იცავს უმაღლეს ეთიკურ სტანდარტებს და ახორციელებს საქმიანობას, რომ დაიმსახუროს იმ საზოგადოების ნდობა, რომელშიც ოპერირებს. კომპანია ძალისხმევას არ იშურებს ადგილობრივ საზოგადოებასთან, ასევე ისეთ ორგანოებთან თანამშრომლობისას, როგორიცაა არასამთავრობო ორგანიზაციები (NGOs), რომლებსაც აქვთ ლეგიტიმური ინტერესი კომპანიის საქმიანობის მიმართ. კომპანია პატივს სცემს საზოგადოების, არასამთავრობო ორგანიზაციების (NGO) და სხვა ორგანიზაციების უფლებებს, რომლებთანაც ურთიერთქმედებს, ასევე მათი წარმომადგენლების ღირსებას და მოუწოდებს მათ, წინამდებარე კოდექსის მოთხოვნების დარღვევის შემთხვევაში გააკეთონ შეტყობინება ეთიკისა და შესაბამისობის მხარდაჭერის ცხელ ხაზზე.

ამასთან დაკავშირებით:

- დაიცავით ადგილობრივი კანონები და რეგულაციები;
- იმუშავეთ ადგილობრივი კულტურისა და ბიზნეს-ტრადიციების გათვალისწინებით, იმ პირობით, თუ ისინი არ ეწინააღმდეგება კოდექსსა და სამართლებრივ მოთხოვნებს;
- მოეპყარით ადგილობრივი თემის წევრებს პატივისცემითა და ღირსებით;
- არასამთავრობო ორგანიზაციებთან დიალოგის დაწყებამდე ან კონტაქტის დამყარებამდე, აცნობეთ მენეჯერს და პრესსამსახურს.

ადამიანის უფლებები

კომპანია საქმიანობას წარმართავს ადამიანის უფლებებისა და ღირსების პატივისცემის საფუძველზე. კომპანია აღიარებს ადამიანის უფლებას, იცხოვროს დისკრიმინაციისა და ძალადობისგან თავისუფალ გარემოში. თითოეულ თანამშრომელს ეკისრება პასუხისმგებლობა, ხელი შეუწყოს ადამიანის უფლებების დარღვევის ისეთი ფორმების აღმოფხვრას, როგორიცაა ბავშვთა შრომა, ტრეფიკინგი, იძულებითი შრომა და შრომითი მონობა.

კომპანია იცავს მოქმედ კანონებსა და რეგულაციებს, მათ შორის გაეროს „ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციას“, შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის დეკლარაციას „სამუშაო ადგილზე ფუნდამენტური პრინციპებისა და უფლებების შესახებ“, ასევე გაეროს „სახელმძღვანელო პრინციპებს ბიზნესისა და ადამიანის უფლებების შესახებ“. კომპანია მუდმივად თანამშრომლობს გარე დაინტერესებულ მხარეებთან იმ თემების კეთილდღეობისთვის, სადაც ოპერირებს.

ამასთან დაკავშირებით:

- დაიცავით და უზრუნველყავით, რომ მესამე მხარის მომსახურების მომწოდებლებმა (მათი თანამშრომლების ჩათვლით), კომპანიის სახელით მოქმედმა ნებისმიერმა სხვა პირმა, ბიზნესპარტნიორებმა და სხვა მხარეებმა, რომლებთანაც კომპანია თანამშრომლობს, დაიცვან ადამიანის უფლებებისადმი კომპანიის მიერ ნაკისრი ვალდებულებები;
- აცნობეთ შესაბამის ორგანოებს კომპანიის საქმიანობაში ან ბიზნესპარტნიორების მხრიდან ადამიანის უფლებების დარღვევის ნებისმიერი ფაქტის შესახებ.

გარე კომუნიკაცია, მათ შორის სოციალური მედიის საშუალებით

გარე დაინტერესებულ მხარეებთან, მათ შორის მედიასთან, ინვესტორებთან და ანალიტიკოსებთან კომუნიკაციას კომპანიისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს. მნიშვნელოვანია, რომ გარე კომუნიკაცია იყოს მკაფიო და ზუსტი. მხოლოდ უფლებამოსილ პირებს შეუძლიათ მედიასთან ან საინვესტიციო საზოგადოების წევრებთან საუბარი.

სოციალური მედიის პირადი მიზნებისთვის გამოყენებისას არ უნდა დაირღვეს კონფიდენციალურობის ვალდებულება (მაგალითად, კომპანიის კონფიდენციალური ინფორმაციის გამჟღავნებით) და საფრთხე არ უნდა შეექმნას კომპანიის რეპუტაციას ან ბიზნესინტერესებს.

ამასთან დაკავშირებით:

- არ ისაუბროთ კომპანიის სახელით გარე დაინტერესებულ მხარეებთან, როგორიცაა მედია, ინვესტორები და ა.შ., თუ წინასწარ არ გაქვთ მონიჭებული ამის უფლებამოსილება;
- მედიის მხრიდან შეკითხვის ან დაინტერესების შემთხვევაში, გადაამისამართეთ ისინი რელევანტურ პირებთან/განყოფილებაში;

- თუ აპირებთ გარე პრეზენტაციის ჩატარებას კომპანიის გამოცდილების მესამე პირებისთვის გასაზიარებლად, მოწვევის მიღებამდე და პრეზენტაციის მასალების გამოყენებამდე დარწმუნდით, რომ გაქვთ ყველა საჭირო ნებართვა;
- დაუშვებელია პირადი სოციალური მედიის ანგარიშების გამოყენება კონფიდენციალური ინფორმაციის გასამჟღავნებლად;
- სოციალური მედიის გამოყენებისას პატივისცემით მოეპყარით სხვებს, მათ შორის კოლეგებს, ბიზნეს პარტნიორებს და საზოგადოებას;
- დაფიქრდით, სანამ „გაგზავნის“ ღილაკს დააჭერთ - არ დაგავიწყდეთ, ონლაინ კომუნიკაცია შესაძლოა სამუდამოდ დარჩეს ციფრულ სივრცეში.

მითითება: შპს “სოკარ ენერჯი ჯორჯიას“ ინფორმაციის მიწოდების, ღონისძიებების ორგანიზებისა და კომუნიკაციების მართვის სტანდარტის შესაბამისად

პოლიტიკური საქმიანობა და გადახდა

შპს „სოკარ ენერჯი ჯორჯიას“ შეუძლია, მონაწილეობა მიიღოს საჯარო დისკუსიებში, კომპანიის ინტერესის შემცველ სხვადასხვა საკითხზე კომპანიის პოზიციის დაფიქსირების მიზნით. მსგავს დისკუსიებში მონაწილეობისას კომპანიის პოზიცია მკაფიოა: კომპანია არ მიიღებს მონაწილეობას პოლიტიკური პარტიების საქმიანობაში და არ განახორციელებს რაიმე სახის პოლიტიკურ შემოწირულობას - არც ფულადი და არც მატერიალური ფორმით.

კომპანიის თანამშრომლებს უფლება აქვთ, ჩაერთონ კანონიერ პოლიტიკურ საქმიანობაში, თუმცა, ამავდროულად სავალდებულოა შპს „სოკარ ენერჯი ჯორჯიას“ ინტერესების და რეპუტაცის გათვალისწინება. შესაბამისად, მნიშვნელოვანია, რომ ფიზიკურმა პირებმა გამიჯნონ პირადი პოლიტიკური აქტივობა კომპანიაში მათ მიერ დაკავებული პოზიციისაგან.

ამასთან დაკავშირებით:

- არ გამოიყენოთ კომპანიის სახსრები ან რესურსები რომელიმე პოლიტიკური კანდიდატის ან პარტიის მხარდასაჭერად ან ლობისტურ საქმიანობაში მონაწილეობის მისაღებად;
- არასოდეს გამოიყენოთ თქვენი პოზიცია კომპანიაში მესამე პირებზე პოლიტიკური შემოწირულობების განხორციელების მიზნით ზეწოლის მოსახდენად;
- პოლიტიკურ საქმიანობაში მონაწილეობის ან საჯარო შეწირულების გაღების გადაწყვეტილების მიღებისას, იმოქმედეთ მხოლოდ საკუთარი სახელით და უზრუნველყავით, რომ ეს ქმედება არ იყოს დაკავშირებული კომპანიასთან;
- ვინაიდან პოლიტიკურმა საქმიანობამ შესაძლოა წარმოშვას ინტერესთა კონფლიქტი, საჯარო თანამდებობის დაკავების ან არჩევნებში მონაწილეობის დაგეგმვის შემთხვევაში, განიხილეთ ნებისმიერი პოტენციური ინტერესთა კონფლიქტი თქვენს მენეჯერთან;
- მკაფიოდ დააფიქსირეთ რომ თქვენი ინდივიდუალური პოლიტიკური შეხედულებები და ქმედებები არის პერსონალური და არ აქვს კავშირი შპს “სოკარ ენერჯი ჯორჯიას“-თან.

სოციალური ინვესტიციები, ქველმოქმედება და სპონსორობა

კომპანია სოციალურ ინვესტიციებს, საქველმოქმედო შეწირულობებს და სპონსორობას სოციალური პასუხისმგებლობის პოლიტიკის მხარდასაჭერად იყენებს. თუმცა, მსგავსი აქტივობები შეიცავს მექრთამეობისა და კორუფციის გარკვეულ რისკებს, განსაკუთრებით მესამე მხარეებთან ურთიერთობისას.

დაუშვებელია სოციალური ინვესტიციების განხორციელება, საქველმოქმედო შემოწირულობების გაღება ან ფიზიკური პირის ან სუბიექტის დასპონსორება განსაკუთრებით კი საჯარო მოხელეზე არაჯეროვანი ზეგავლენის მოხდენის მიზნით, რათა მან კომპანიის სასარგებლოდ იმოქმედოს ან თავი შეიკავოს კონკრეტული ქმედებისგან. კონტრაგენტის ჯეროვანი შესწავლის პროცესმა ყოველთვის უნდა დაადგინოს, ხომ არ მიიღებს რომელიმე საჯარო მოხელე პირად სარგებელს, პირდაპირ ან არაპირდაპირ, ამგვარი აქტივობიდან. ასეთ შემთხვევაში, კომპანია არ დაამტკიცებს სოციალურ ინვესტიციას, საქველმოქმედო შემოწირულობას ან სპონსორობას.

დამატებითი განმარტებები მოცემულია სოციალური ინვესტიციების, ქველმოქმედების და სპონსორობის პოლიტიკაში.

ამასთან დაკავშირებით:

- იხელმძღვანელეთ „სოციალური ინვესტიციების, საქველმოქმედო შემოწირულობისა და სპონსორობის პოლიტიკით“;
- არასოდეს განახორციელოთ რაიმე ტიპის სოციალური ინვესტიცია, საქველმოქმედო შენატანები და/ან სპონსორობა იმ მიზნით, რომ მოახდინოთ გავლენა ფიზიკურ ან იურიდიულ პირზე, განსაკუთრებით კი სამთავრობო თანამდებობის პირზე, რათა მან იმოქმედოს ან თავი შეიკავოს კომპანიისთვის სასურველი გზით მოქმედებისგან;
- დარწმუნდით, რომ სოციალური ინვესტიციები, საქველმოქმედო შენატანები და სპონსორობა დაშვებულია, თუ ისინი დამტკიცებულია შესაბამისი პოლიტიკით და მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სათანადო შემოწმების შედეგი ამის საშუალებას იძლევა.

მითითება: შპს “სოკარ ენერჯი ჯორჯიას“ სოციალური ინვესტიციები, საქველმოქმედო შენატანები და სპონსორობის პოლიტიკა